ყალბი ანგარიშების (ტროლების) მოქმედების სტრატეგიები და მათი გავლენა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე (საქართველო)

სალომე ჩადუნელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ჩადუნელი

29/06/2021

აბსტრაქტი

ტროლებისა და სხვა არაავთენტური ფეისბუქანგარიშების მზარდმა გავლენამ ქართულ პოლიტიკურ სადისკუსიო სივრცეში ახალი გამოწვევები წარმოშვა. მდგომარეობა საყურადღებოა იმ ფონზე, რომ ეს ანგარიშები ნეგატიურ გავლენას, პირველ რიგში, დემოკრატიულ პროცესებზე ახდენენ. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული პროცესი არჩევნებია. კვლევაში შესწავლილია ტროლების აქტივობები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში და გაანალიზდა დაკვირვების შედეგები. კერძოდ, გამოვიკვლიე ტროლების მოქმედება ფეისბუქზე მედია გამოცემების გვერდებზე, სადაც სოციალური ქსელის მომხმარებლები ყველაზე ხშირად იკრიბებიან და ახალი ამბების ირგვლივ დისკუსიას იწყებენ. საინტერესოა, მათი რეაგირება კომენტარებში სხვადასხვა პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენების დროს, რა ფრაზებს იყენებენ ისინი და ვინ არიან ის სუბიექტები, რომლებსაც ნეგატიურ ან პოზიტიურ კონტექსტში მოიხსენიებენ. ამას გარდა, დისკურს-ანალიზის დახმარებით გამოვიკვლიე იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაგროვებული ცოდნა ტროლებსა და მათი იდენტიფიცირების ტექნიკაზე, რომლებიც დეზინფორმაციის კამპანიებს სწავლობენ. კვლევამ აჩვენა, რომ ტროლების მსგავსი ანგარიშები ქმნიან ვირტუალურ საზოგადოებას, გავლენას ახდენენ სოციალური ქსელის მომხმარებლების განწყობაზე და მანიპულირებენ სიძულვილის ენის შემცველი შეტყობინებებითა და მესიჯბოქსით. მათი მთავარი სამიზნე იმის მიხედვით, ვის წარმოადგენენ ისინი, ოპონენტები არიან. 2020 წლის არჩევნებზე არ შეინიშნებოდა ტროლების კოორდინირებული ქცევა, რაც დიდი ალბათობით არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ფეისბუქის მხრიდან ყალბი ქსელების სამ ეტაპად წაშლის ოპერაციის შედეგია; თუმცა დაკვირვება აჩვენებს, რომ ყალბი ანგარიშების რაოდენობა წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება.

Abstract

The growing influence of trolls and other non-authentic Facebook accounts has created new challenges in the Georgian political debate space. The situation is noteworthy in the light of the fact that these reports have a negative impact, primarily on democratic processes. One of the most important democratic processes in this regard is elections. In this study, we observe the activities of trolls during the reelection of 2020 parliamentary elections and analyze the results of the observations. In particular, we studied the action of trolls on the pages of media publications on Facebook, where social network users most often gather and start discussions under the news. We have also observed their response to comments on events of different political significance, wondering what phrases they use and who the subjects they refer to in a negative or positive context. In addition, with the help of discourse analysis, we explored the knowledge accumulated by NGOs about trolls and their identification techniques that study disinformation campaigns. Research has shown that troll-like reports create a virtual community, weakening the influence of traditional actors such as politicians, media, experts, influencing mood with hate speech messages and textboxes. Their main targets, depending on who they represent, are their opponents. No coordinated behavior was observed in the 2020 elections, which is most likely the result of a three-stage operation by Facebook to remove fake networks shortly before the elections.